გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
[illegible] . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტფრიქურროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ტფილისი, 6 ოქტომბერი

ბოლგარიის ამბებმა მიიზიდეს ყურადღება ყველასი იმოდენად, რომ აღარავის არ აგონდება საქმენი ეგრედ წოდებულის შინაურის პოლიტიკისანი, რომელნიც ჩვენში ვერ გაურჩევიათ წარმავალ შინაურ ამბავთაგან. ამ შინაურ პოლიტიკის სფერაში კი ბევრი იმისთანა საყურადღებო ამბებია ევროპაში, რომ ზოგიერთი მათგანი თუ არ აღემატება ბოლგარიის საქმეს თვისის მნიშვნელობითა ქვეყნისათვის, არც ძალიან ჩამოუვარდება. ჩვენ სახეში გვაქვს ინგლისი და მისი შინაური პოლიტიკა ირლანდიის შესახებ. მას აქედ, რაც გლადსტონის სამინისტრო გადადგა და მისი ადგილი დაიჭირა ეგრედ წოდებულმა კონსერვატორების დასმა, ეს ირლანდიის საქმე, მართალია, თითქო მიჩუმდაო, მაგრამ მაინც მოძრაობაში იყო, მერე იმ ნაირად, რომ მაგ საგანზედ თვითონ კონსერვატორთა დასმა აზრი იცვალა, და, როგორც ეტყობა, ირლანდიის სასარგებლოდაც. სიტყვა წარმოთქმული დარტფორტში ლორდ ჩერჩილისაგან ამისი ცხადი მაგალითია. იგი სიტყვა ორ ნაწილად არის გასაყოფი. ერთი ნაწილი შეეხებოდა საგარეო პოლიტიკას და ამისი შინაარსი უკვე ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს და მეორე— შინაურს პოლიტიკასა და უმთავრესად ირლანდიის საქმესა. ირლანდიის საქმე განხილულია ჩერჩილისაგან მარტო ეკონომიურის მხრით; იგი შეჰხებია მარტო ირლანდიის მიწათ-მფლობელობის საქმესა. აზრი ამ კონსერვატორების ნიჭიერ მეთაურისა ქვედა პალატაში ისე ახლოა რადიკალების მოთავის ჩამბერლენის აზრთან, რომ კაცი განცვიფრებაში შეჰყავს.

ჩერჩილს ყველაზედ უწინარეს საჭიროდ უცვნია სხვილის მამულების დანაწილება და წვრილ მიწათ-მფლობელობის აგება და დადგინება. ეს ისეთი რადიკალური ზამაა, რომ ძველს ანდერძებს ინგლისის მიწათ-მფლობელობისას თავ-ზარსა ჰსცემს და სრულიად ძირს უთხრის. ამისთანა აზრი სარჩულად ედვა თვით ჩამბერლენის პროგრამმასა, როცა ჩამბერლენი გადუდგა გლადსტონს და გლადსტონსაც კი იმოდენად რადიკალურად ეჩვენა, რომ მხარის მიცემა ვერ იკისრა. რას მოასწავებს ასეთი ცვლილება აზრისა? ეს საკითხავი დღეს მით უფრო საბუთიანია და საგულისხმიერო, რომ როცა სალუსბერიმ პირველად ჩაიგდო ხელში სამინისტროს მეთაურობა და ჩამბერლენმა მოითხოვა წვრილნი მიწათ-მფლობელნი უნდა გავამრავლოთო, მაშინ ესევე ლორდი ჩერჩილი წინა-აღუდგა. ზემოდ დადგენილს საკითხავს პასუხი ადვილად მოეპოვება, ვინც კი იცის შეუდარებელი ღირსება ინგლისის თავკაცებისა. ინგლისის თავი-კაცნი, რა დასისანიც უნდა იყვნენ, ძალიან ფთხილად ექცევიან თავიანთ ერის საქმესა, მეტის-მეტად ფხიზლად ადევნებენ თვალს ერის აზრის მოძრაობას და რაკი ერთხელ დაძრული აზრი უმრავლესობის კუთვნილებად შეიქმნება, არც ერთი იმისთანა თავი-კაცი ინგლისისა არ არის, რომ იმ აზრის განხორციელებას არ მიეცეს სულითა და გულითა. მარტო ამით აიხსნება იგი არა იშვიათი მაგალითები, რომ ინგლისში კონსერვატორებს ლიბერალური აზრნი განეხორციელებინოთ და ცხოვრების საფუძვლად დაედვათ. და თუ დღეს ჩერჩილი, ეს უნიჭიერესი წევრი კონსერვატორთა დასისა, რადიკალთა აზრებს მისდგომია, ეს ცხადი საბუთია ვიფიქროთ, რომ რადიკალთა აზრს მიწათ-მფლობელობისას ფართოდ გაუდგამს ფესვი ინგლისის ერის ცხოვრებაში.

თუმცა ჩერჩილს დარტფორდში არა უთქვამს-რა ირლანდიის თვითმართველობის თაობაზედ, მაგრამ არც ამ საგანზედ დაცხრომილა აზრი ინგლისისა საერთოდ და ირლანდიისა საკუთრივ. ამ მოკლე ხანებში ჰავარდენში გლადსტონის წინაშე წამდგარა დეპუტაციები კორკისა, ლიმერიკისა და ვატერფორდის საქალაქო გამგეობისა, წინ მოსძღოლია დუბლინის (სატახტო ქალაქია ირლანდიისა) ლორდ-მერი (თავი ქალაქისა). ამ დეპუტაციას მიურთმევია გლადსტონისათვის წოდება ამ ქალაქების საპატიო მოქალაქობისა და წარუდგენია თხოვნა, რომელზედაც ნახევარ-მილლიონ ირლანდიის ქალს ხელი უწერია. ამ ქაღალდით ირლანდიის მანდილოსნები ჰთხოულობენ თვით-მართველობას ირლანდიისას. დუბლინის ლორდ-მერის მეუღლეს წაუკითხავს იგი ქაღალდი, კორკის მერს მადლი გადაუხდია გლადსტონისათვის იმ პატიოსნურ შრომისა გამო, რომელიც მან გასწია ირლანდიის საკეთილოდ. ლიმერიკის მერს გამოუცხადებია ნატვრა, რომ ირლანდიის ერმა თავის ქვეყანაში ჰნახოს სახელოვანი სახელმწიფო თავი-კაცი, რომელმანც თავს იდვა სარჩლი და ქომაგობა ირლანდიისა. გლადსტონს პასუხად გძელი სიტყვა უთქვამს, სხვათა შორის მიუქცევია დეპუტაციის ყურადღება მასზედ, რომ მეტად ხნიერი კაცი ვარო და ირლანდიაში მოსვლა ჩემთვის მეტად სამძიმოაო.

> „მაინცა და მაინც, უთქვამს გლადსტონს, წამოვალ ირლანდიაში, თუ არ წამოვალ, ირლანდიელებს, ეჭვი არ უნდა ჰქონდეთ, რომ იმათი ბედი მე ძალიან მალონებს და მათდამი ღრმა გულის ტკივილი მაქვსო."

ქება უთქვამს ირლანდიელთ-გათოლიკებისათვის, რომ თავიდამვე, როცა თვით-მართველობის გამო აგიტაცია დაიწყოვო, თავი მშვიდობიანად ეჭირათო და ბელფასტის პროტესტანტების მაგალითებს არ აჰყვნენო. მერე გამოუცხადებია გლადსტონს, მე ისევ ვიკისრეო ხელთ-მძღვანელობა ლიბერალთა დასისა მარტო იმ იმედით, რომ ირლანდიის საქმე კეთილად დაბოლოვდესო და მხოლოდ ამ იმედმა მაიძულა არ გამოვთხოვებოდი სამუდამოდ საპოლიტიკო მოღვაწეობასაო. მე არა მჯერაო, რომ ეხლანდელი სამი-

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d'amour)

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

არმანმა უკვე მოისაზრა, როგორ უნდა განშორებოდა ელენეს სამუდამოდ. რომ უფრო მტკიცედ დამკვიდრებულიყო ამ აზრზედ, არმანი ისევ იმასა ჰფიქრობდა, რომ ჩემთან ცხოვრება ელენესათვის ტანჯვა იქნება, რადგანაც მე ის არ მიყვარს და იმას კიდევ მეო. „რასაკვირველია, ელენეს მე არ ვუყვარვარო... იმას ჰგონია მხოლოდ, რომ ვუყვარვარ. ასევე ეგონა უთუოდ, რომ ვარადი მიყვარსო, ვარადიცა და კიდევ სხვანიცა... სხვანიც რომ იქმნებოდნენ, ეს ეჭვ გარეშეა... თუ მოვშორდები და თავს დავანებებ, მეტი ღონე არ არის უნდა იმის ტირილსა და ცრემლებსაც გავუძლო. ელენე ცოტას ხანს ინაღვლებს და მერე ისევ დამშვიდდება. შემდეგ საბუთი ექმნება მიმართოს თვალნი ცას და უთხრას ახალს საყვარელს: „ოხ! რამდენი ტანჯვა და მწუხარება გამოვიარე, ჩემო ძვირფასო!" ან არა და თავის მეგობარ ქალს შესჩივლებს და ამოოხვრით ეტყვის. „ო, რანი არიან ეს კაცებიო!"

ამ ფიქრებმა არმანს რაღაც უგემური მხიარულება მოჰგვარა. მერე ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა: „ახირებული მხეცები არიან ეს დედაკაცები! ალფრედი ხომ კარგი გულის კაცია, ალალ-მართალი, გულ-წრფელი, მოსიყვარულე, განუსაზღვრელად ენდობა კაცსა და ცოლი კი ატყუებს და ჰღალატობს, მერე ისიც ვისის გულისთვის? ჩემისთანა მასხარას გულისთვის!.. ნეტავ ვგავდე რაშიმე მაინც: მე სულ სხვა ვარ და ის სულ სხვა არის... მაგრამ ესეც კია, რომ თუ მე არ ვიქნებოდი, ჩემ ფერი, ან ჩემზედ კიდევ უარესი სხვა იქმნებოდა ვინმე. მართალია, ეს ჩემის თავმოყვარეობის დამამცირებელია, მაგრამ სინიდისს კი მიმშვიდებს. დიაღ, მე არ ვიქმნებოდი, სხვა იქმნებოდა..." ერთ წამს უკან არმანმა დაუმატა: «კარგი თავის გამართლება კია, თქვენმა მზემ! ეს იმასა ჰგავს, კაცი რომ მოჰკლა და სთქვა: «მე რომ არ მომეკლა, ადრე იქმნებოდა, თუ გვიან, მაინც სხვა რამე მიზეზით მოკვდებოდაო!» მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს ფარული სიყვარული ფრიად საზიზღარი და სამარცხვინო საქმეა! არმანი კვლავ თავის თავსა და თავის ფიქრებს დაუბრუნდა და ერთსა და იმავეს ასჯერა და ათასჯერ აკვირდებოდა და უფიქრდებოდა. სასტუმრო ოთახში შევიდა და ის სავარძელი რომ დაინახა, რომელშიაც დილით ალფრედი იჯდა, მაშინ ნამდვილად იგრძნო და გადასწყვიტა კიდეც, რომ აღარ შემიძლიან ელენეს საყვარელი ვიყოვო... აღარა, აღარ შემიძლიან, არც ერთს დღეს, არც ერთს საათს! უნდა ამ წამსვე გავანებო თავი, გავშორდე!.. წამოიძახა არმანმა ხმა-მაღლა და დაჯდა სტოლთან წერილის დასაწერად. არმანმა მისწერა ელენესა, რომ გთხოვ დანიშნულს ალაგს მოხვიდეო. უჰკუობა იქმნება ისიც მივწეროო, რომ თავს განებებო, იფიქრა არმანმა. ამ ბარათს ელენე ხელიდამ აღარ გაუშვებს და ვაი თუ მერე სხვა ნაირად გამოიყენოსო. უნახავად გაშორება კიდევ, ისე როგორც შორდებოდა ხოლმე სხვა საყვარელ ქალებს, არ მოხერხდებოდა, რადგან მაშინ ალფრედისათვისაც უნდა დაენებებინა თავი და აღარ ენახა ხოლმე. მეტი ღონე არ იყო: უნდა ელენეს პირისპირ მოლაპარაკებოდა და გაეძლო როგორმე იმის ტირილისა და ქუხილისათვის. პირველი საქმე ის იყო ახლა, რომ ადგილი ეპოვნა, სადაც უნდა ენახათ ერთმანერთი. თვით ელენესთანვე წავიდეო, ვაი თუ გული შეუღონდეს, ან ისტერიკა დაემართოს და ამ დროს შემოგვესწროს ვინმეო. სტოკჰოლმის ქაჩაზედ რომ სახლი მაქვს დაქირავებული, იქ მოვახერხო კიდევ და, ვაი თუ მომეხვიოს კისერზე, ველარ მოვითმინო და კვლავ დავუახლოვდეთ ერთმანერთსაო. ჯერ რომ დავტკბე იმასთან ყოფნით და მერე მივანებო თავი, ეს ხომ სოფლური სიბრიყვე იქნება ჩემის მხრითაო და ჩემი საქციელი უზრდელის სოფლელის ბიჭის საქციელს ევგანებაო?! არა, აქ, ჩემს სახლში ემჯობინება უფრო. ჩემი მოსამსახურე კარებს უკანვე მეყოლება დაგულებული და ესეც საკმაო იქმნება, რომ ქალმა ველარ დამძლიოს. თუ გული შეუწუხდა კიდევ,— მე პატარა სამგზავრო აფთიაქი მაქვს აქაო..." მოიფიქრა ასე და მისწერა ელენეს მეტად სადა წერილი. ალფრედსაც რომ ენახა ეს წერილი, ისიც-კი არაფერს არ იტყოდა. არმანი სწერდა ელენეს, ამა-და-ამ დროს მობრძანდით ჩემთან სახლში, აქ გასინჯეთ ალბომი და აირჩიეთ, რა ჰრილობის კაბაც მოგეწონოთ იმ ბალისათვის, რომელიც ამ ცოტასხანში უნდა გაიმართოსო. ალბომი დიდი იყო და მისი გადატან-გადმოტანა მეტად მოუხერხებელი. ამიტომ ალფრედი სხვა ნაირად სრულიად ვერასაც ვერ იფიქრებდა, რომ არმანი ელენეს თავის სახლში ეპატიჟებოდა. მეორეც, არმანი და ელენე ისე დაახლოვებულები და დაშინაურებულები იყვნენ ერთმანერთთან, რომ ალფრედი სხვაფრივ არ შეჰხედავდა ამ გვარს საქციელს არმანისას. როცა არმანმა გაგზავნა ეს წერილი ელენესთან, მაშინ უცბად შეიპყრო დარდმა: თვალ-წინ წარმოუდგა, როგორ გაეხარდებოდა ელენეს, არმანის წერილს რომ დაინახავდა. სულ ორჯელ მოვიდა ელენე არმანთან სახლში და ორჯელვე იმისი გული დიდს სიხარულსა და აღტაცებასა ჰგრძნობდა. რა იცოდა, რა ნაირ მოსტყუედებოდა ხვალ ელენე და რა ელდა ელოდა საცოდავს! «გულ-მაგრად იყავ, გულ-მაგრადაო, ეუბნებოდა თავის თავს არმანი, გული არ უნდა გავიტეხოო. ერთს თთვეს უკან ლონდონში ვიქნებიო. როცა მე იქიდამ დავბრუნდები, ისინი საზაფხულოდ წავლენ სადმე პარიჟიდამ და მაშინ ეს საძაგელი ამბავი უფრო უკედ გათავდება, ვიდრე ბევრი სხვა გათავდაო... საწყალი ალფრედი!... ვერას დროს ვერავინ უსაყვედურებს კაცს: გვიანღაა, პატიოსნად ნუ მოიქცევიო.»

ამბობდა ამას არმანი და სჯეროდა კიდეც, რომ სწორედ ასეაო. უბედური ჩვენი გული ასეთის მოხერხებით მოატყუებს ხოლმე ხშირად თავისთავსა!

ორი საათი იქნებოდა შუა-დღის უკან, როცა ელენე შევიდა მეორე დღეს სწორედ იმ სასტუმრო ოთახში, საცა წინა დღეს იმისი ქმარი ლაპარაკობდა იმის საყვარელთან, და საცა ეს საყვარელი იმდენსა ჰფიქრობდა იმაზე, თუ რა დამოკიდებულებაა მე და ელენეს შორისო. ხომ სასოწარკვეთილება მოჰკლავდა ელენეს, რომ გაეგონა ან რასა ლაპარაკობდნენ ის ორნი, ან რომ გაეგო, რასა ჰფიქრობდა მეორე! მაგრამ ეხლა ელენემ არა იცოდა-რა იმის მეტი,

---

*) იხ. „ივერია" № 210.

ნისტრო ირლანდიელთათვის კეთილად მოწადინებული იყოს, ხოლო უნდა იმედი კი გქონდეთ, რომ გამარჯვება თქვენის საქმისა მოახლოებულიაო.

ყოველივე ეს ცხადად გვაჩვენებს, რომ ამ ახლო ხანებში ირლანდიის საქმე კვლავ თვალწინ წარმოუდგება ინგლისის მთავრობას მთელის თავის სიდიდითა და მრავალ გვარობით. აშკარაა, მეცხრამეტე საუკუნე ისე არ დალევს სულს, რომ ერთი დიდი აზრი კიდევ არ ჩაართოს თვისთა დიდებულთა ნამოქმედართა, ერთი კიდევ ცხოველ-მყოფელი ქვა-კუთხედი არ დაუდვას კაცთა ცხოვრების საძირკველსა. დროთა ბრუნვისაგან დღეს ინგლისია მოწვეული ამ საქმისათვის ირლანდიის სამართლიანის სურვილის გამო.

ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, კვირას, ალექსანდრეს ბაღში სეირნობას, რომლის შემოსავალიც დანიშნული იყო წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

*** მუხრანისკენაც ძალიან დაზარალებულა ვენახები. სიცივის გამო მტევნის კლერტოები გამხმარა, ყურძენი გამაგრებულა და სრულიად წვენი აღარა აქვს თურმე. ძალა უნებურად უნდა რთველი დაიწყონო, რადგან ყურძენი ლპება ვაზზე და სცვივა ძირსაო.

*** აფხაზეთს წლეულ ცუდი წელიწადი დაუდგაო. სიმინდი კარგი ვერ მოვიდა. შარშანდელი მოსავალი სიმინდისა ბევრადა სჯობდა წლევანდელსა. ამ ბოლოს დროს ქურდობა და სახლების გატეხა ძალიან გახშირდა აფხაზეთშიო.

*** სამეგრელოდამ გვწერენ, რომ დაბა ოჩამჩირეში აგერ მეორე წელიწადია, რაც მოქმედობს ახლად დაარსებული პირველ-დაწყებითი სკოლაო. სასკოლო სახლი ააშენა თავის ხარჯით ოჩამჩირის საზოგადოებამ. ოჩამჩირეს შეეწიენ სხვა გარეშემო სოფლებიცაო და სამერმისოდაც იტვირთეს ამ სკოლის ხარჯიო. სახლის აშენებაში მთავრობაც დაეხმარა. სკოლაში ამ ჟამად ასზე მეტი ბაშვი დაიარება: ქალი და ვაჟიო. ამ სკოლის მოსწავლენი აქაურის ვაჭრების შვილები არიან სულა, ესე იგი, იმერლები და მეგრელებიო. ყმაწვილები დაიარებიან აგრეთვე ახლო სოფლებიდამ: ილორიდამა და ბერლახუბადამაო.

*** რკინის გზის მატარებელს ახტაგლის ახლოს, როგორც გაზ. „კავკაზსა“ სწერენ, გაუჭყლეტია ას სულზედ მეტი ცხვარი.

*** ამავე გაზეთს შემდეგს ამბავსა სწერენ ქუთაისიდამ: 2 ოქტომბერს დიდი უქმე იცის მოწამეთის მონასტერშიო. ეს მონასტერი იმყოფება ახლად გაყვანილის ტყიბულის რკინის გზის სადგურ გელათსა და ქუთაისს შორისო. ქუთაისის საზოგადოებამა და სამღვდელოებამ სთხოვა ამიერ კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას, რომ, თუმცა ჯერ სიარული არ დაწყობილა ამ გზაზე, 2 ოქტომბრისთვის ნება მიეცით მლოცველთ რკინის გზით წასვლისა მონასტერშიო. მომეტებული ფასები დანიშნეთ და შემოსავალი საქველმოქმედო სასწავლებელთ შესწირეთო. გზათა სამინისტრომ შეიწყნარა თხოვნა და ნება მისცა რკინის გზის საზოგადოებას მლოცავენი წაეყვანა მონასტერში, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ფასები მომეტებული არ იყოსო და შემოსავალი რკინის გზის საზოგადოებას გარდაეცესო. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო დღეობასაო. შემოვიდა ფული სულ 900 მან. ეს ფული საზოგადოებისთვის არაფერია და წმ. ნინოს სასწავლებელს კი დიდს შემწეობას მისცემდაო.

*** „С. Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ რადგან სახელმწიფო მამულებს პშირად უსაბუთოდ იჩემებდნენ კავკასიაში სხვა-და-სხვა საზოგადოებანიო, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტა ცნობაში მოიყვანოს სახელმწიფო მამულები და თანაბრად გაუყოს საზოგადოებათაო. იმის მიხედვით, თუ რომელს რაოდენი მიწა და მამული მიეზომება, გაიწერება სახელმწიფო ხარჯიცაო. სამინისტრო ასე მოიქცა ყარსის გუბერნიაში და ამ გარემოებას კარგი შედეგი მოჰყვაო. სამინისტრო ასევე აპირობს ტფილისისა და განჯის გუბერნიაში დასახლებულს ახალ-შენ ნემენცების შასახებაცაო. ახალ-შენ ნემენცებს ამ ჟამად სულ 30,000 დესეტინა კარგი მიწა და მამული უჭირავთო.

*** სირაჯხანასთან, ველაბარში, საიდამაც ცხენის რკინის გზა გაჰყავთ აბანოებისკენ, 4 ოქტომბერს შემდეგი უბედურება მოხდა ამ გზის გამყვანთა უყურადღებობითა. რადგან აქ მუშაობაა, მიმავალ-მომავალთა გასაფრთხილებლად რელსებია ახუხულავებული ისე ფომფლედ, რომ ოდნავ თუ ხელი ჰკრა კაცმა, დაიშლებაო. ეს ადგილი ღამე ფარნითაც არ არის განათებულიო. ამას წინად პატარა ყმაწვილი მირბოდა ამ ალაგს, დაეჯახა ხუხულას და თავ-პირი დაიმტვრიაო. ამის შემდეგ აქ გაატარეს ვირებიო, რომელთაც დაშალეს ეს ხუხულაო. ამ დროსვე გაიარა ნაფიცმა-ვექილმა შიდლოვსკიმა, ვერ ჩამოეცალა დროზედ დაშლილს რელსებს, რომელნიც მოჰხვდნენ ფეხზედ და ფეხი მოსტეხესო. გულ-შეწუხებული შიდლოვსკი ფაეტონით წაიყვანეს სავად-მყოფოშიო, ამბობს გაზ. «ნოვ. ობოზ.».

*** ხელ-მეორედ დაფასება ტფილისის მამულებისა უკვე გაუთავებიათ. ტფილისში ამ ჟამად სულ 10,870 უძრავი მამულია. ეს მამულები დაუფასებიათ 41,950,990 მანათად. ამ ფულში ქალაქმა უნდა აიღოს დასაფასებელი გადასახადი მხოლოდ 34,095,105 მანათიდამაო. ამ მამულებში კერძო საკუთრებაა 7,004 მამული და და ფასებულია 31,117,071 მან. 51 კაპ. ხაზინისაა 245 მამული, დაფასებულია 5,834,533 მ. 65 კაპ. დასაფასებელი გადასახადი კი უნდა აიღოს ქალაქმა 1,417,608 მან. 65 კაპეიკიდამა. სასულიერო უწყებას ეკუთვნის 161 მამული და დაფასებულია 2,607,144 მ. 75 კაპ. ხოლო გადასახადი უნდა აღებულ იქმნას 573,087 მან. 75 კაპ. იჯარით აღებულ მამულზე—1,990 შენობაა და დაფასებულია 880,960 მან. 50 კაპ. საკუთრად ქალაქის მამულია 1,437 და დაფასებულია 904,903 მ. და 16 შენობაა ჯერ გაუთავებელი და დაფასებულია 606,376 მან. 50 კაპ.

*** ონიდამ სწერენ გაზ. „კავკაზს“, რომ 19-ს სექტემბერს ზემო რაჭაში დიდი თოვლი მოვიდაო, მაგრამ ალაგ-ალაგ ისევ მალე აილოვო; მაღლა მთებზე-კი ონის გარშემო დიდი თოვლი სძევს. 20 სექტემბერს მეტის-მეტი სიცივეები იყოვო. მოხუცებულთ არ ახსოვთ, რომ ასეთი სიცივე და ყინვა დეკემბერსა და იანვარში ყოფილიყოსო. ვენახები ნახევრობით წახდაო, თუ თბილი დარები დაიჭირა, ვენახები იქნება ცოტათი კიდევ გამობრუნდესო. ბაღეულობა, კომბოსტოს გარდა, სულ წაახდინა სიცივეებმა. შქმერსა, ბრაილძალს, გებოს, ჩიორს და გლოლას სრულიად გაუფუჭა ყინვამ ქერები. უწერელებს, ძეგლეველებს, ლაგვანთელებს და საკაოელებს წაუხდინა სიმინდი. ამ ჟამად რაჭაში ყველგან ბუხრებს ანთებენ. სამწუხაროდ, გლეხებმა სრულიად ვერ მოასწრეს, რომ შეშა დაეგულებინათ სახლშიო.

*** გაზ. „Тер. Вѣд.“-ი ამბობს, რომ ქარისა და სეტყვისაგან თერგის ოლქას წარსულ ივლისში სულ 323,096 მან. ზარალი მოუვიდაო.

*** 5 ოქტომბერს ვერაზე პოდ-პორუჩიკის სახლთან მიუგდიათ პატარა ქალი, როგორც ეტყობოდა ახლად დაბადებული. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილიო.

*** 5 ოქტომბერს კოლ. ასესორის მატინოვის სახლთან მიუგდიათ პატარა ახლად-დაბადებული ქალი. ბავშვი გაგზავნილ იქმნა საბებიო ინსტიტუტში.

*** 5 ოქტომბერს პოლიციას შეუპყრია ტუსაღი ნიკოლოზ ოჰანეზოვი, რომელიც გაიქცა მეტეხიდამ 17 სექტემბერსაო.

დამჯერდი!

მშვენიერობა ჭკუისა გვაკვირვებს, მშვენიერობა სულისა გვაიძულებს პატივსაცემლად.

(ფონტენელი)

რომ არმანი უცდიდა თავის ოთახში და ამიტომ მთლად სიხარულს მიეცა: ორი დღე და ღამე იყო გასული, რაც არ ენახა არმანი და ეს ორი დღე და ღამე მისთვის საუკუნედ გადაიქცა. როცა მოსამსახურეს გაუარა გვერდზედ, მართალია, ცოტაოდნად შეკრთა, მაგრამ რიდეთი ისე ჰქონდა დაფარული სახე, რომ ეს კაცი თავის დღეში ვერ გაიგებდა ელენეს ვინაობას. მაინც სიხარულმა სძლია დარდსა, თუმცა სიხარულს გარდა ქალი რაღაცა მოუსვენრობასაცა ჰგრძნობდა. მას შემდეგ, რაც პირველში გულ-დამშვიდებულმა სიყვარულის სიტკბოებამ გაიარა, ისე არ განშორდებოდა ხოლმე არმანს, რომ არ ეკითხნა თავის თავისათვის: ნეტა როგორ დამხვდება ხვალ არმანიო? ეხლაც, ვიდრე არმანი ჩამოართმევდა ელენეს მუფტასა და წამოსასხმელს—ელენე თან ბედნიერებასაცა ჰგრძნობდა და მოუსვენრობასაცა. ელენემ აიხადა რიდე და მიესალმა არმანსა. ელენე მიეყრდნო გულზე ახალ-გაზდა კაცს და ვერა ჰბედავდა შეეხედნა პირის-სახეზედ. მაგრამ თვალი მაინც მოჰკრა იმის სახეს და ესეც საკმაო იყო, რომ შეენიშნა არმანისათვის, რა შავისა და ძნელის ამბის სათქმელად იყო მომზადებული არმანი. არმანს ჯერ არაფერი არ ეთქვა ელენესათვის, მაგრამ საბრალო ქალი მიხვდა კიდეცა, რომ სრულიად ალბომის გასაშინჯად არ შემოუთვლია არმანს, ჩემთან მოდიო; მიხვდა, რომ გუშინ ტყუილად იხდიდა ბოდიშს, დღეს ვერა გნახავ, საქმე მაქვსო; მიხვდა, რომ უთუოდ რამე საყურადღებო ამბავი მომხდარაო. მაგრამ რა მოხდა სახელდობრ? Jardin des Plantes ბაღში სეირნობის დროს—სწორედ ამ ორის დღის წინად—არმანი მეტის-მეტად მიალერსებდა, უფრო მეტად თავაზიანი იყო, ვიდრე სხვა დროსაო; მაგრამ ეტყობა დღეს კვლავ დაარღვია რამემ ჩვენი ერთ სულობა და ერთგულობაო. ნეტავ რას მეტყვის არმანიო?

არმანმა დასვა ქალი და ერთი საალერსო სიტყვა კი არ უთხრა, მხოლოდ ოდნავ გადუსვა ხელი თმაზედა და იმ წამსვე იმას მოუყვა, რომ ალფრედი იყო აქაო და ასეთი და ისეთი ლაპარაკი ჩამოგვივარდა ჩვენის სეირნობის გამო ბაღშიო.

— რამდენჯერ მისაყვედურე, რომ მე ისე ფრთხილად ვიქცეოდი. ხომ ჰხედავ: ესცდებოდი თუ არა, როცა ვამბობდი, რომ ალფრედი იჭვიანობს მეთქი? რა გითხრა ქმარმა იმ საღამოს?

— არაფერი არ უთქვამს. სთქვა პასუხად ელენემ.

თუმცა ამ ორს ამბავს, რომ ალფრედს უკვე იჭვი აღლო, და კიდევ იმას, რომ ელენეს ღალატი და სიცრუე უკვე გამოაშკარავდა, შეეძლებოდა მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყოლოდა ელენესათვის, მაგრამ ამ დროს ქალს მარტო ერთი რამ აწუხებდა: იმისი დარდი ის იყო: როგორ გამოესარჩლა ჩემს სიყვარულს არმანიო, რა სთქვა ჩვენის სიყვარულის გასამართლებლადაო. ამიტომ მან საჩქაროდა ჰკითხა არმანს:

— შენ რაღა უთხარი ალფრედსა?

— საქმე რომ მარტო ჩემი შესახები ყოფილიყო,—უპასუხა არმანმა,—შენ, რასაკვირველია, მიხვდები, რომ მე ტყუილს ლაპარაკს არ დავიწყობდი და არ ვიცბიერებდი იმისთანა პირ-და-პირსა და გულ-წრფელს კაცთან, როგორიც არის ალფრედი. ამ სახით გამოვიდა, რომ მე შეურაცხვყავ შენი ქმარი ჩემის ქცევითა; ალფრედს ნება აქვს, როგორიც ჰსურს, ისეთი დაკმაყოფილება მომთხოვოს და მეც დიდ ბედნიერებად ჩავსთვლიდი, რომ შემძლებიყო მეთქვა, მომთხოვე რა გვარი დაკმაყოფილებაცა გსურს მეთქი,—მაგრამ ამ საქმეში შენცა ხარ გარეული... და ამიტომ მე პატიოსნება დავიფიცე და ვუთხარი, რომ ჩვენ შორის პატიოსანის მეგობრობის გარდა სხვა არაფერი არა ყოფილა-რა მეთქი.

არმანი პატარა-ხანს შესდგა და შემდეგ განაგრძო გაჯავრებითა:

— რადგან ორ ნაირი პატიოსნება არ შეიძლება ჰქონდეს კაცსა,—ერთი ჭეშმარიტი და მეორე ტყუილი, და არც ხასიათადა გვქონია ამისთანავები არც მე, არც იმასა, ამიტომ მან ირწმუნა ჩემი ფიცი და ჯერ-ჯერობით დამშვიდდა...

ელენე ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს და შესცქეროდა არმანს. თვით არმანი-კი მუხლებზე იდაყვ-დაყრდნობილი უცქეროდა ცეცხლის ალს ბუხარში... ქალი ჰკითხავდა თავის თავს: „ვუყვარვარ ვითომ არმანს იმოდენად, რომ, ვინიცობაა საჭირო იყოს, წავიდეთ სადმე ერთად, მომცეს მე სრულიად თავისი სიცოცხლე და მიიღოს ჩემგან ჩემი სამაგიეროდაო. მაგრამ რას ნიშნავს მისი სიტყვებიო?“

ელენე მდუმარებდა და სრულიად მოლოდინით იყო შეპყრობილი. ჯერ კიდევ არ მიმხვდარიყო კარგად, რა უნდა ეთქვა მისთვის არმანს და რა ამბავიც უნდა მომხდარიყო ამ ოთახში რამდენისამე წუთის შემდეგ...

არმანმა კვლავ განიმეორა თავისი უკანასკნელი სიტყვები:

„ჯერ-ჯერობით დამშვიდდა ალფრედიო.“ ეს სამი სიტყვა ისე სთქვა, რომ არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ელენესა.

— მაგრამ ჩვენი ურთი-ერთობა ძალიან გაძნელდება. იმ კაცისათვის, ვისაც იჭვი არა აქვს აღებული, „არა“ ყოველთვის „ჰო“-სა ნიშნავს. ხოლო თუ კაცმა იჭვიანობა დაიწყო, სრულიად სხვა არის ხოლმე. ასეა თუ არა?

ელენე კვლავ მდუმარებდა და ამ მდუმარების გამო, არმანი უხერხულადა ჰგრძნობდა თავსა. ელენე იჯდა გადაყუდებული სავარძელში, გაეშვირა წინ ხელები, რომელიც არმანის ხელებსა ჰქონდა მოხვეული, ბაგენი ნახევრობით განპობოდა, თითქო სუნთქვა უჭირსო და ისე შესცქეროდა თავის საყვარელს, იქნება ცოტაოდენი სიყვარული მაინც შევამჩნიოვო. მაგრამ ელენე არმანის სახეზედ ვერას ამჩნევდა, გულ-ციეობის მეტსა. ეს კაცი ისე ლაპარაკობდა, თითქო რომელისამე სასამართლოს საქმის გარემოებას მოუთხრობსო. ის ხმაც-კი, რომლის მცირეოდენი მიმოკრთომა არ გამოეპარებოდა ხოლმე ელენეს, ის ხმაც-კი, რომელიც ნესტარივით დაუვლიდა ხოლმე იმის გულის ულრმესად დაფარულს კუნჭულებს,—ეხლა ისე იყო გაცივებული, თითქო ყინვა და თოშიაო. როცა არმანმა ჰკითხა: „ასეა თუ არაო“?—ელენემ უპასუხა:

— შეიძლება აგრე იყოსო. ეგ შენ უფრო უკეთ უნდა იცოდე. მერე ძალა დაატანა თავსა და დაუმატა:

— ახლა, რა გინდა დაასკვნა შენის ლაპარაკითა?

— აღმითქვი ჯერა, განაგრძო არმანმა,—რომ ცუდის მხრით არ მიიღებ იმას, რასაც გეტყვი. დარწმუნებული იყავ, რომ მე სხვა არაფერი არა მაქვსრა სახეში, გარდა შენისავე სარგებლობისა. ხომ ეჭვი არა გაქვს, რომ ეს ასეა?

რად ჩაღუნა ძირს თავი ელენემ, ამ სადად წარმოთქმულ სიტყვების გამო, თითქო ცხადად წაიკითხა არმანის ტუჩებზედ საუბედურო სიტყვები განშორებისაო? რად უნდოდა იმ წუთსავე დაეყვირნა იმ სასიკვდილოდ განმზადებულის ბრალდებულის ქალისავით: „ბატონო ჯალათო! ერთი წუთი კიდევ მომითმინეო!...“

ღმერთო! რად არის ასეთი მისანი, ასე წინასწარ-მხედველი მოსიყვარულე გული? რად ჰხედავს წინდა-წინვე უბედურებას და რად აორკეცებს ამ წინასწარ-ხედვით ადამიანის ტანჯვასა და წამებასა?!

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

უმჯობესია კაცი ბიჭი იყოს მასვილის კაცისა, ვიდრე მასვილობდეს ბიჭურად.

(ვოლტერი)

**

ყველა კაცის ნატვრა ბედნიერებაა, მაგრამ იმის მაგიერ რომ კაცი კაცს დაუახლოვოს, იგი გაჭყრის და წაახხუბებს ხოლმე.

(ბუასტ.)

**

ერთი დრო არავის შეჰრჩების
კარგი სთქვა, გინა ავია.

(დ. გურამიშვილი)

**

ერთის კაცისა გონება.
თემსა დაიმჯობს კიდითა.

(მეფე ვახტანგ მე-VI)

**

პირველ ხელ-ყოფა საქმისა
თქმულა შემდგომთა უქნელად.

(არჩილ მეფე)

ქართული თეატრი

გუშინდელი დღე ვერაფერ ბედნიერ დღედ ჩაითვლება ჩვენის თეატრისათვის, თუმცა „ბედნიერ დღეს“ კი თამაშობდნენ: ხალხი გაცილებით ნაკლებ დაესწრო გუშინდელ წარმოდგენას, ვიდრე წარსულ კვირას, თუმცა გუშინდელ ნათამაშევ პიესას გამოჩენილის ოსტროვსკის სახელი ჰქონდა მოწერილი და წარსულ კვირას ნათამაშევს კი ა. ცაგარელისა. რას მოასწავებს ესა? რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება? ნუ თუ იმას, რომ ჩვენს ხალხს თეატრი ჯერ ვერ შეჰყვარებია, რომ ჩვენი ხალხი თეატრში სიამოვნებას ვერა ჰპოულობს? არა, დიდი შეცდომა და ცოდვა იქნება ესთქვათ, რომ ჩვენი ხალხი მოკლებულია ამ გვარს გრძნობასაო. არა, ვიმეორებთ, ეს ცილის წამება იქნება და ამის დასამტკიცებელი საბუთი წარსული კვირაა. წარსულს კვირას ითამაშეს ა. ცაგარელის პიესა „ხანუმა“: თეატრი თითქმის სავსე იყო, ხალხი ბლომად მოვიდა, ყველას დიდი მხიარულება და სიამოვნება ეტყობოდა. რათა? იმიტომ, რომ «ხანუმა», ავია თუ კარგი, ჩვენის ცხოვრების სურათია, ჩვენის ცხოვრების ღვიძლი შვილია; ამ პიესაში დახატული ცხოვრება ჩვენთვის ყველასათვის ადვილი მისახდომია, ადვილად შესათვისებელი და ყველას გულში გვხდება: „ხანუმა“, აკოფა, თავადი ფანტიაშვილი—სულ ჩვენები არიან, ჩვენის ენით ლაპარაკობენ; ამათი ლაპარაკი, დარდი, მხიარულება, ამათი ავი და კარგი, ნაკლი და ღირსება გვესმის, არ გვეუცხოება.—ყველა ეს ჩვენის თვალით გვინახავს, ჩვენის ყურით გაგვიგონია.

აი ამიტომ თავს იყრის ხოლმე დიდძალი ხალხი ამ გვარ წარმოდგენაზე, აი ეს გარემოება იზიდავს ხალხს თეატრში. მოსაწონია თუ არა მაჭანკალ-ხანუმას ოინბაზობა, მატყუარობა, აკოფას ლოთი-ბაშობა და ქეიფობა, ფანტიაშვილის სასაცილო და არა-საქებური საქციელი,—ეს სულ სხვა საქმეა, ამას ყველა ისე გასჯის, როგორც ჭკუა და გონება უჭრის, როგორც განათლება, გონების განვითარება, ზნეობის სიდიდე ხელს უწყობს. ასე თუ ისე ამ გვარი სურათები მაინც დააფიქრებს კაცსა, სამუშაო მასალას მისცემს მის გონებას.

ყველა ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ქართულ თეატრს მაგარი ზღუდე შემოევლოს, ჩინეთის კედელი შემოერტყას და სხვა ენებიდამ ნათარგმნი პიესები სრულიად განიდევნოს ჩვენის სცენიდამ. არა, ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. ჩვენც გვესმის, რომ საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ, თეატრის შემწეობით, უცხო ქვეყნების ცხოვრებაც გაიცნოს, კლასიკურ მწერლების მაღალი აზრებიც შეიტყოს. ვინ იტყვის, რომ ეს დიდად სასურველი არ იყოს, მაგრამ აქ ორი გარემოებაა სახეში მისაღები. ჯერ ერთი, რომ მომეტებული ნაწილი ნათარგმნ პიესებისა სრულებით უვარგისია. მართლა და საკვირველია, ღმერთმანი! თითქოს განგებ იმისთანა პიესებს სთარგმნიან, რომელთაც თითქმის არავითარი ღირსება არა აქვთ, — მერე რა ენით? ავიღოთ, მაგალითად, ჯიაკომეტის ტრაგედია „დამნაშავეს ოჯახი“. იმას ნულარ ვიტყვით, რომ მთარგმნელს სულითაც და ხორცითაც დაუტანჯავს პიესის ავტორი და ქართული ენაც ვიკითხოთ ისა, რას წარმოადგენს თვითონ პიესა? — გულის გასაწვრილებელ მელოდრამას, რომელიც, თაფლის კვერივით, გულს უბლანდავს კაცსა და გონებას კი ბევრ ვერაფერ საზრდოს აძლევს, მეტადრე ჩვენს ქართველის გონებას. ან კიდევ გუშინდელი პიესა ოსტროვსკისა! განა ამ გამოჩენილის მწერლის კალამს სხვა უკეთესი არა დაუწერია რა, რომ არ გადმოეთარგმნათ «ბედნიერი დღე», პიესა, რომელიც თვით რუსებსაც არ მოსწონთ, თუმცა ორის დრამატურგის, ოსტროვსკისა და სოლოვიოვის სახელიც აწერია. თუ თვითონ რუსებს, რომლის ცხოვრებაც აწერილია პიესაში, არ მოსწონთ, ნეტა ქართულის თეატრისთვის რაღა განძი უნდა იყოს!

მეორე გარემოება უფრო კიდევ მეტად ყურადღების ღირსია. საქმე იმაშია, რომ მარტო ბუნებითი ნიჭი საკმაო არ არის, რომ არტისტმა გადმოღებულს პიესაში თავი თუ არ იჩინოს, რიგიანად მაინც შეასრულოს თავისი როლი. არტისტს აქ მეტი ცოდნა, გამოცდილება, ხელოვნება, გონების განვითარება, ხელთ-მძღვანელობა უნდა; არტისტს თუ არ უნახავს, წიგნებიდამ მაინც უნდა ჰქონდეს შესწავლილი სხვა ცხოვრება, ჩვეულება. ამას ჩვენ, სამწუხაროდ, ყურადღებას არ ვაქცევთ: — თითქოს არტისტი მარტო რაღაც ზეგარდმო შთაგონებით ყველაფრის თამაშობას შეიძლებსო. ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდომაა.

ვიმეორებთ, არტისტებს, რომელნიც დღეს ჩვენს სცენაზე მოღვაწეობენ, ნიჭი აქვთ და ეტყობა, სურვილიც რომ რიგიანად აასრულონ თავიანთი მოვალეობა, მაგრამ, როგორც ზემოდ ვსთქვით, მარტო ნიჭი და სურვილი საკმაო არ არის, რომ გადმოთარგმნილ პიესებში კარგად ითამაშონ; მარტო სურვილი, კეთილი განზრახვა არა კმარა, რომ კაცმა საქმე შეასრულოს,—უნდა კაცს ამის შეძლებაც ჰქონდეს, ძალი და ღონეც მოსდევდეს. მოიპოვება დღეს ჩვენს მუდმივ ტრუპაში ამოდენა ძალა? პირ და-პირ ვიტყვით,—არა. გარდა აბაშიძისა და ალექსეევ-მესხიევისა კაცებში და აბაშიძე-საფაროვისა ქალებში, რომელთაც ცოტაოდენი ცოდნა, გამოცდილება და ხელოვნება მოსდევთ, დანარჩენს ვერავის ვუჩვენებთ ჩვენს ტრუპაში, რომ გადმოთარგმნილ პიესებში ხეირიანად შესძლოს თამაშობა და გააწყოს რამე.

ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, გუშინდელი წარმოდგენა სრულიად ამართლებს ჩვენს სიტყვებს. ვინ იტყვის, რომ გაბუნია-ცაგარლისა და აწყურელი ნიჭიერი არტისტები არ არიანო? ჩვენ დიდს პატივსა ვცემთ ამ არტისტების ნიჭსა. მაგრამ როდის და სად იჩენენ ესენი თავიანთს ნიჭსა? მაშინ და იქა, როდესაც ჩვენის ცხოვრებიდამ დაწერილს პიესაში ჰთამაშობენ, იმ ცხოვრებიდამ, სადაც თვითონ აღზრდილან, სადაც ყველაფერი თავიანთ თვალით უნახავთ, თავიანთ ყურით გაუგონიათ და ყოველი ნანახი და გაგონილი, როგორც ნიჭის პატრონებს, კარგად შეუთვისებიათ და შეუხორცებიათ.

აბა ახლა გუშინდელ წარმოდგენაზე გენახათ ეს არტისტები! ქ-ბონ გაბუნია-ცაგარლისა «პოჩტმეისტერის» ცოლის როლს ჰთამაშობდა. განა ჰგვანდა ქ-ბონი გაბუნია იმ „პოჩტმეისტერის“ ცოლსა, რომელიც ყველას, ვინც კი რუსეთის ცხოვრება იცის, ცოცხლად ჰყავს თვალ-წინ წარმოდგენილი? დიახ, ჰგვანდა, თუ გნებავთ, მაგრამ ჰგვანდა იმიტომ, რომ რუსული კაბა ჩაეცვა და თავი რუსულად გაეკეთებინა. აბა აქვე, ამის მაგიერ, ქართულად თავი დაეხურა და შავს წამოსასხმელში გამოსულიყო:—მაშინვე ისევ იმ ხანუმას წარმოიდგენდით, რომელიც წარსულს კვირასა ჰნახეთ! ბ-ნი აწყურელი მოხელეს, ჩინოვნიკის როლში,—ვინ იტყოდა, რომ ეს ის აწყურელია, რომელსაც კინტოების, ბაზაზხანის ბიჭების როლში აღტაცებაში მოვყავართ თავის ნამდვილის არტისტულის თამაშობით? ჩვენ წინ იდგა უფერული, თითქოს სრულიად გამოუცდელი მოთამაშე.

ახლა შეადარეთ ამ არტისტის თამაშობას ბ-ნ ალექსეევ-მესხიევის მშვენიერი თამაშობა. ბ-ნი ალექსეევი-მესხიევი ექიმის როლს თამაშობდა. ჯერ ერთი, რომ ნამდვილი ექიმის სახე გაეკეთებინა, მერე შეგეხედნათ, როგორ მშვენიერად ჰთამაშობდა. ყველაფერში ეტყობოდა, რომ არტისტს კარგად შეუსწავლია, შეუთვისებია, სრულიად ესმის, იცის ის როლი, რომელსაც ჰთამაშობს. მეტადრე მეორე მოქმედებაში, რა მადლიანად, რა ნამდვილის არტისტიულის გრძნობით წარმოსთქვა პატარა მონოლოგი: „შევდივარ, შევცურავ ცხოვრებაში...“ სცენაზე ნამდვილს საქმის მცოდნე არტისტს ჰხედავდით.

ბ-ნ გუნიას, ჩვენის ფიქრით, ვერ გაუგია „პოჩტმეისტერის“ როლი. მართალია, პიესაში ისეა გამოყვანილი, თითქოს ამ კაცს ამ ქვეყნისა არა ესმისრა-რა, ცხოვრებაში არა გაეგება-რა, არაფერი აფიქრებს და აწუხებს, მაგრამ არც ისე უსისხლო და უხორცოა, არც ისე სიცოცხლეს მოკლებულია, როგორც ბ-ნმა გუნიამ გუშინ დაგვიხატა. ავიღოთ, მაგალითად, ის, როდესაც «პოჩტმეისტერი“ გაზეთებს შემოჰჯდომია, ჩაჰფიქრებია რუკას და გაფაციცებით „არდაგანს“ ეძებს და სწუხს, რომ ვერ უპოვნია. რას შვრებოდა გუშინდელს წარმოდგენაზე „პოჩტმეისტერი»—გუნია? ისე უგულოდ ჩასცქეროდა გაზეთს, რუკას, ისე დუდუნებდა, რომ თითქოს ამისთვის სულ ერთია, ვიპოვნი არდაგანს თუ არა, და თითქოს გაზეთსაც ისე, „ფორმის“ გულისთვის კითხულობსო.

შარშან ამავე როლში ბ-ნი საბუელი ვნახეთ. ბ-ნი საბუელი სულ სხვანაირად თამაშობდა. დღესაც თვალ წინ გვიდგა ყბად ასაღები პოჩტმეისტერი—საბუელი. უნდა გენახათ, როგორ თვალ დაცეცებით დაეძებდა ქარტაში არდაგანს და მერე რა სიხარული გამოეხატა სახეზე, როდესაც იპოვა. გარდა ამისა, ბ-ნი საბუელი სახის გამომეტყველობით გვაჩვენებდა, რომ მას აღელვებს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს გაზეთის კითხვა. ჩვენის ფიქრით, ბ-ნ საბუელს უფრო უკეთესად ჰქონდა შეთვისებული „პოჩტმეისტერის“ როლი, ვიდრე ბ-ნ გუნიას. საქმე იმაშია, რომ „პოჩტმეისტერს“ მართლა არაფერი აწუხებს, ყველას გულ-გრილად უცქერის, რაც მის გარშემო ხდება, მაგრამ ეს კაცი სრულიად გაქვავებული არ არის: ერთის აზრით ესეც არის გატაცებული, გაზეთის კითხვას სულითა და გულით ეძლევა. როდესაც კაცს რომელიმე საქმე ასე გატაცებით, თავ-დავიწყებით უყვარს, ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ მაინც ცოტაოდენი სიცოცხლე არ გამოიჩინოს.

აგრეთვე ვერ მოუვიდა კარგად წარმოდგენა ბ-ნ გუნიას მეორე მოქმედებაში, როდესაც გენერალთან შემოდის. მართალია, კაცს შიშისაგან ხმა აუკანკალდება ხოლმე, ხშირად ენაც ებმება, მაგრამ არც ისე კი, რომ ცოდვიანივით ენის ლუღლუღი დაიწყოს. ბ-ნ გუნიას ვურჩევთ მაგალითი ბ-ნ აბაშიძისაგან აიღოს, რომელიც ამ გვარ სცენებში მართლა რომ შეუდარებელია. ერთი ნაკლულევანება აქვს კიდევ ბ-ნ გუნიას: ენას როგორღაც უკიდებს, ხშირად სისინი გამოისმის ხოლმე. მეტადრე გუშინ ყურს როგორღაც ეჩოთირებოდა, ეხამუშებოდა, როდესაც მოხუცებული, თმა-გათეთრებული „პოჩტმეისტერი“ ხან-და-ხან ყმაწვილივით ენას უკიდებდა ხოლმე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „Моск. Вѣд.“-ი ბოლგარიიდამ მოსულ ამბავების გამო მრისხანედ იძახის:

> ჰხედავთ, საქმე სადამდინ მივიდა: სოფიის ავაზაკების ბრბო, რომელიც დღეს მთელ ბოლგარიას თავის ნებაზე ატრიალებს, ჩვენის მტრების შთაგონებით, გათამამებული და თავს გასული, არამც თუ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედობს, არამც თუ ჩვენ ყურადღებასაც არ გვაქცევს, არამედ ცილსაცა სწამებს, ვითომ ჩვენი წარმომადგენელი განგებ იმიტომ იყოს გაგზავნილი, რომ ბოლგარიაში არეულობა მოახდინოს და ამით საბუთი მიეცეს რუსეთს ბოლგარიაში თავის ჯარები ჩააყენოს.

ბოლოს გაზეთი ასე ათავებს თავის წერილსა:

> ამაზედ მეტი საქმის გაჭირება აღარ იქნება. ამ გაჭირების მოსპობა მხოლოდ რუსეთის იმპერატორის გარდაწყვეტილს სიტყვას-ღა შეუძლიან; მხოლოდ ამ სიტყვას შეუძლიან დაიხსნას ბოლგარია განსაცდელისაგან და აღადგინოს რუსეთის სახელის შეურაცხყოფა.

* * *

გაზეთი „Новости“ ერთ სასაცილო ამბავს მოგვითხრობს. პეტერბურგის „საბაღოსნო საზოგადოებას“ კრება ჰქონია. კრებაზე სხვათა შორის ლაპარაკი ყოფილა აღძრული: ყვავილების დარგვა და გაშენება როგორია სჯობია,—სადად, ერთ გვარად, რომ ხავერდისავით იყოს გადაფენილი, თუ ზოლ-ზოლად, როგორც ფერად-ფერადად ნაქსოვი ხალიჩა.

— არავისა გნებავთ თქვენი აზრი წარმოსთქვათ?—ეკითხება კრებას თავჯდომარე.

ყველანი ჩუმად არიან.

— ბატონებო, საქმე მეტად დიდის ყურადღების ღირსია,—ნუ თუ არავის სათქმელი არაფერი გაქვთ?

კრებაზე კიდევ სრული სიჩუმე სუფევს.

—არა, ესე არ შეიძლება, ბატონებო. „პეტრ ერმოლაიჩ“, თქვენ რაღასიც თქმა გსურთ მგონი!

—მე არა...

—არა, გსურთ, გსურთ, მე ვხედავ რომ გსურთ.

„პეტრე ერმოლაიჩი“ ძალად წამოაყენეს. «პეტრე ერმოლაიჩმაც» ბევრად თავი არ შეიწუხა და წარმოსთქვა: ხომ ერთიც კარგი იქნება, მეორეცაო; ასეც შეიძლება, ისეცაო.

— „კარლ ივანიჩ“, მგონი თქვენცა გსურთ რაღასიც თქმა?—მიუბრუნდა თავჯდომარე საზოგადოების სხვა წევრს.

— არა...

— როგორ არა, გეტყობთ, რომ გსურთ.

კარლ ივანიჩიც, მეტი ღონე არ იყო, წარმოდგა და რაღაცა სთქვა თურმე, მაგრამ ისე სთქვა, რომ ვერავინ გაიგო, რა სთქვა.

ვინ დაიჯერებს, რომ ასე აკეთებენ საქმეს „საზოგადოების“ წევრნი და არა სკოლის ცელქი შეგირდები?!

შელოცვები სვანეთში

(შეკრებილი თავისუფალ სვანეთში)

როგორც ყოველს უმეცარს ხალხს, სვანებს სწამთ შელოცვების განმკურნებელი ძალა. ღირსია შენიშვნისა, რომ შელოცვები სვანეთში შენახულან ქართულს ენაზე და—როგორც ადგილობრივ დავრწმუნდით—არც ერთი არ არის შედგენილი სვანურად; შელოცვანი დავწერე სიტყვა-სიტყვით, ე. ი. იმ გრამმატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებით, როგორათაც ამბობენ ისინი, ვისგანაც გავიგონე: ესრე ვარჩიე, თუმცა ვხედავდი, რომ აზრი ადგილ-ადგილ ბუნდად და გაუგებრადაც არის გამოხატული. ქვემო-მოყვანილი შელოცვები მითხრეს და დამაწერინეს ექვსმა კაცმა, რომელთა შორის მარტო ერთმა იცის ქართული, დანარჩენ ხუთ კაცს არც შინაარსი შელოცვისა და არც სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით; მათ დაუსწავლიათ იგინი მეხანიკურად, გაუგებრად. შემლოცავი ქირას იღებს, როგორც ექიმი საექიმოს.

I

თვალ-ნაკრავის შელოცვა (ჭვაცა ლიმზირ)

გასკდა კლდე, შავი კლდე;
გამოსტა შავი ცხენი,
შავ ლაგამ-უნაგირი.
ტირის დედა მარიამ.
— რას ტირ დედა მარიამ?
— ამასა გსტირ: ურია მქეთერმა *) (ქეთა)
— შემყარა, შემჭამა,
— შემაჯდინა ცხენი ფაფალზე,
— მარონია ქალაქამდისა;
— ვაჟსა მოცერულსა წავართმევ,
— ქალსა მოფერულსა ფერსა წავართმევ,

---

*) „ქეთა“ სვანურად ერთ-ნაირის ეშმაკის სახელია; სვანეთში იციან კიდევ შემდეგი სახელები ეშმაკებისა: არტავაზ, ჭაშმა, ქაჯ, გოგვარ, ჭორია, გვეშ, მუშვრია და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხარსა მეუღლეს ძალსა წავართმევ,
— ძროხა მეწველსა—წველსა წავართმევ.
ავი მ-თვარისა, ავი მ-გულისა,
გული მოუკვდეს, თვალი მოუდგეს;
ნურცა კაი დაემართოს:
თვალსა აყრია ნაცარი,
გულსა ასვია მახათი.
ავიკიდე «დორავულისა» (?)
შვიდსა საყდარსა დავათვიცე:
ათასი ხატით, ათასი ჯვარით...
ქრისდე წაბრძანდა იერუსალამსა;
ქრისდეს მღუდია, შიგ ჯვარია,
გარეთ ხმალი ეშმაკისა.
წმიდაო გიორგი!
დასწერე ჯვარი შენი.

II

იგივე შელოცვა სხვა სოფელში და სხვა კაცისაგან გაგონილი.

სახელითა მამისათა!
გასკდა შავი კლდე,
გამეიყვანე შავი ცხენი,
შავი ლაგამ-უნაგერი.
ხელთ აიღე შავი „ფუცხვე“ *)
შევიყვანე შავი მ-გველი.
„ფასემი“ (?) სამად გასკდები,
თქვენი და თქვენი წაღმარდი,
რომელიც „აულთა“ (ავათ?) ხარ,
რომელი ავი თვალისა ხარ.
ტირს დედა მარიამ,
ჰქუხს დედა მარიამ
მოვიდა მიქელ-გაბრიელ მთავარ ანგელოზი:
«რას ტირ დედა მარიამ?
რას ქუხ დედა მარიამ?»
„მასა გსტირ, მასა გსწუხ:
მოვიდა ური ქეთარებაში (?)
შემომითვალა, შემომიყვარდა.“
ნუ ტირ დედა მარიამ!
ხუთ არს შაფათს უშრეტელს (ე. ი. სუთი მთვარეო)
წყალზე ცეცხლი ჩაასხი **) (თუ ცეცხლზე წყალი!)
თვალსა ნაცარი აყრია,
გულსა მახათი ასვია.
— რასა შვრები შენ კუდურო?—
— ამასა ვშვრები, ამასა ვიქ:
ლამაზ კაცს მუხლსა წავართმევ,
ლამაზ ქალს ფერსა წავართმევ,
ხარსა უღელსა წავართმევ,
ცხენ-ულაყს გავას ***) წავართმევ,
ძროხას მუცელს წავუხდენ.
ანაგეთ, ფანაგეთ, ხვარამზეთ,
ეგ არის სუქანი ქვეყანა
იქ მიიყვანე,
ჩადეგი ზღვაში,
დალეგე ზღვაზე.
წმიდაო გიორგი!
აქა დაგვწერე ჯვარი შენი.

III

ალის შელოცვა (ჰკალა ლიმზირ)

ჩვენ ვიყავით სამი ძმანი
სამებისა ძალუანი,
შევსჯდებით მთასა მაღალსა,
კვალი ვნახეთ ეშმაკისა.
მივყევით კვალსა ნავალსა;
შევქენით ყაჯი-ბადი-აბრეშუმისა.
დევიჭირეთ ალი-ეშმაკი;
ყური ჰქონდა ვირასა,
თვალი ჰქონდა რვალისა,
ცხვირი ჰქონდა კატისა,
ფეხი ჰქონდა ჩიქისა.
ამოვსჭრათ ყური ვირისა,
თვალი რვალისა,
მოვტეხოთ ფეხი ჩიქისა.
— ნუ-რ- სვანო (?) ბედნიერო,
ნურც მომჭრი ყურსა ვირისა,
ნუ მომიხრი თვალსა რვალის,
ნუ მომტეხ ფეხსა ჩიქისა;
არ ვერჩოდო მ-შობლიერს ქალსა,
არცა რა დედა-კაცსა,
შავი ზღვიდამ მოსრული ვარ,
ორბის მხარ-ქვეშ გაზრდილი ვარ;
სწრაფეთ მოვსულ ვარ,
სწრაფეთ წავალ.—
— მითხარი შენი წამალი! —
— ჩემი წამალი:
ელანი, მელანი,
მელის ნაღველი,
კვერცხლისა ცილი.
თუ გოდორ მობრუნებულში
მამლის ყივილი ისმოდეს,
არ მოვიდე (ე. ი. კაცის საცხოვრებელს არ მივეკაროვო).
წმიდაო გიორგი!
დასწერე ჯვარი შენი.

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

4 ოქტომბერს

ჟურჟევო. გენერალმა კაულბარსმა შემდეგი ნოტა გადასცა ბოლგარიის მთავრობას: „რადგანაც თქვენ არ დაუჯერეთ რუსეთის კეთილს განზრახვას, რომელიც მე შეგატყობინეთ, და პირიქით, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ არჩევანები 28 სექტემბერს მოახდინეთ, ამიტომ, ჩემდა დიდ სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ საიმპერატორო მთავრობის მონდობილობით, რომ დღეის იქით უკანონოდ ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რასაც მთავრობა რუსეთის რჩევის და დარიგების წინააღმდეგ ჩაიდენს.“

5 ოქტომბერი

პეტერბურგი. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ უავგუსტოესის სახლობითურთ კეთილ ინებეს და გუშინ პეტერგოფიდამ გატჩინოში გარდასახლდნენ.

გუშინ გარდაიცვალა სახელმწიფო რჩევის წევრი კლუშინი.

სოფია. ჰფიქრობენ, რომ დიდი საერო კრება 15 ოქტომბერს მოხდებაო. ხმები ისმის, ვითომ კრება შეიწყნარებს ყველა კანდიდატს, რომელსაც კი რუსეთი ურჩევს, გარდა ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზისა და თავად პეტრე ყარაგიორგიევიჩისა. სარეგენტო მთავრობამ აუწყა სახელმწიფოების წარმომადგენელთ, რომ სახეში აქვს დიდის საერო კრების მოწოდება, რომელიც ერთად-ერთი გამომთქმელია ერის ნებისა და სურვილისა. როდესაც კრება ერის წარმომადგენლების საარჩევნო უფლების შემოწმებას გაათავებს, მაშინ მოილაპარაკებს პორტასა და დიდ სახელმწიფოებთან მთავრის არჩევის შესახებ.

სოფია. ბოლგარიის სამინისტრომ რუსეთის დიპლომატიის აგენტს ნოტა გაუგზავნა და სწერს: სასტიკი გამოძიება მოვახდინეთ და გარწმუნებთ, რომ იმ არეულობას, რომელიც კვირას მოხდა, სრულიად არა ჰქონია განზრახვა საგენტოსთვის შეურაცხყოფა მიეყენებინაო. სამინისტროს სიტყვით, ამ არეულობაში პასუხის მგებლად ამომრჩეველნი უნდა ჩაითვალნენ, რომელთაც საარჩევნო სადგურში ჩხუბი მოახდინეს, მერე რუსეთის საგენტოს სადგურისკენ გაემგზავრნენ და ქვების სროლა დაუწყეს აქ შეკრებილ ხალხსა, რომელმაც, რასაკვირველია, ქვებითვე გასცა პასუხი. ამ დროს ერთბაშად საგენტოს ეზოდამ თხუთმეტამდის დამბაჩა დასცეს: ერთმა ტყვიამ ცხენი მოუკლა ერთს აფიცერს, რომელიც ამ დროს აქ მიდიოდა, ორი ტყვია გერმანიის და ინგლისის საკონსულო სახლებში იპოვეს; მაშინ პოლიცია ჩაერია და ხალხი გაფანტა. ბოლოს ნოტაში ნათქვამია: თუ პოლიცია დროით არ ჩაერია საქმეში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნეკლიუდოვმა ამას წინად გამოუცხადა მინისტრს ნაჩევიჩსა, რომ პოლიცია თავს ნუ შეაწუხებს და ნუ იზრუნებს საგენტოზედაო, რადგანაც საგენტოს თვითონ თავის საკუთარის ძალითაც შეუძლიან თავის თავი დაიცვასო.

საკალენდარო ცნობანი

ოქტომბერი 31 დღით არის.

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

7 დღე სამშაბათი. წმ. სერგოსი და ბაკხოსი. კათოლ. დღის ღვთის მსახურება. სომეხ. წმ. ქალწ. თეკლესი, ბარბარესი და პელაგიასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა მაჰარრამისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45—1. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 5—13; მთვარე ამოდის 10—23, ჩადის 11—44.

8 დღე ოთხშაბათი. ღირს. პელაგიასი და ტაისიასი. კათოლ. წმ. ქალწ. ბირგიტტისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. სიკვდილი იმამ ზეინალ აბდინისა (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—51. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 5—11; მთვარე ამოდის 11—24, ჩადის 12—35.

6 დღე ხუთშაბათი. წმ. მოციქ. იაკობ ალფესი, მამა აბრამისა და ლოტისა. კათოლ. წმ. მოწ. დიონიზიოსი, რუსტიკასი და ელევთერიასი. სომეხ. წმ. პანტელეიმონ და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—41. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10; მთვარე ამოდის 12—0, ჩადის 1—22.

10 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ევლამპისა და დისა ევლამპიასი; ღირს. თეოფილე და სხ. კათოლ. მადლობის წირვა ხოტინის გამარჯვების სახსოვრად. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—32. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5—8; მთვარე ამოდის 12—32, ჩადის 2—7.

გამოსადეგი ცნობანი

30 სექტემბერს პეტერბურგის ბირჟაზე შემდეგს ფასად ისყიდებოდა:

	მან.	კაპ.
ხუთ მანათიანი ოქრო . .	8	—60
ტამოჟნის კუპონები . . .	167¼—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთ.	228 —	„
— მეორისა. . . .	222 —	„
6% გირავნობის ფურცელი ტფილისის ბანკისა	97 —	„
— — ქუთაისის ბანკისა	97 —	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ფურცლები	86½—	„

პეტერბურგის ბირჟის მდგომარეობა: სავექსელო კურსის დაწევამ დააფიქრა ბირჟა.

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი . . .	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		სალამოთი			
	სალამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	ხაშური . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	გორი . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	სალამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

განცხადებანი

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მოიწვევს ბ-ნთ წევრთ მორიგ საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 7 ოქტომბერს, 7½ საათზე.

საგანნი განხილვისა:

1) საქმენი საზოგადოებისანი, 2) მოხსენება ბ-ნის ქალანთარისა კავკასიაში ისეთის სკოლის დაარსების თაობაზედ, რომელშიაც ასწავლიდნენ წველა-დღების წარმოებასა, ყველისა კარაქისა და სხვათა ამ გვართა ნაწარმოებთა კეთებასა. (2—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდაპირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—6)

---

*) „ფუცხვ“ რკინის ჯოხი, ბოლოში წვეტიანი და მოკაკული, რომლითაც ქვაბიდამ მოხარშულ ხორცს იღებენ.

**) ამ ადგილას, რომ მოვა შემლოცავი წყლიანს ქურჭელში, რომელიც წინ უდგას, ნაკვერცხალს ჩააგდებს. ამ წყალს ავად მყოფს ასმევენ.

***) გავა სვანურად ძალა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 6 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე